სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/87

ქ. თბილისი 01 ივლისი 2026 წ.

„აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიან წესში“ ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სტუ-ის ვიცე-რექტორის პროფესორ თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 1 ივლისის სხდომის №01-05-02/11 ოქმის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. მოწონებული იქნეს „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიან წესში“ ცვლილების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი პროექტი (დანართი) და დასამტკიცებლად წარედგინოს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N°64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**